**ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის"**

**სარევიზიო კომისიის სხდომის**

**ოქმი**

**4 ოქტომბერი , 2013 წელი**

ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" სარევიზიო კომისიის სხდომა გაიმართა ქ. თბილისში, ძმ. ზუბალაშვილების 36, ს.ს.ი.პ "საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის " ოფისში. სხდომას ესწრებოდნენ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისიის შემდეგი წევრები:

**მარიამ კუბლაშვილი- სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე**

**აკაკი ჩარგეიშვილი-** წევრი

**მაკა ჯაფარიძე-** წევრი

სხდომას არ ესწრებოდნენ წევრები **ლევან ჩხეიძე და ანა ხარაიშვილი**

**ქეთევან ჯაფარიძე**-სარევიზიო კომისიის კოორდინატორი

**სხდომის დაწყების დრო: 17:00**

**დღის წესრიგი:**

1. აუდიტორული კომპანია MN-აუდიტი"-ს მიერ ჩატარებული ასოციაციის 2009-2012 წლების საანგარიშო პერიოდის ფინანსური აუდიტის შედეგების შეჯამება;

სხდომა გახსნა თავმჯდომარემ მარიამ კუბლაშვილმა. მან განაცხადა, რომ კომისიამ აუდიტორულ კომპანიასთან ინტენსიური ურთიერთობის შედეგად მიიღო

ადვოკატთა ასოციაციის 2009-2012 წლების საანგარიშო პერიოდის ფინანსური აუდიტის მოდიფიცირებული დასკვნა, რომლის დეტალური განხილვა და შენიშვნების მომზადება განხორციელდა მ/წ 2-4 აგვისტოს სარევიზიო კომისიის გასვლით სხდომაზე და შედეგები პასუხების გასაცემად და შენიშვნები გასათვალისწინებლად გადაეცა აუდიტორული კომპანია MN-აუდიტი"-ს წარმომადგენელს, რომელმაც მ/წ 23 სექტემბერს სარევიზიო კომისიის სხდომაზე წარმოადგინა კორექტირებული დასკვნა.

აღნიშნული დასკვნის გადახედვის შემდეგ, წევრებმა ერთხმად მიიღეს შემდეგი

**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა:**

1. MN-აუდიტი"-ს მიერ საბოლოოდ წარმოდგენილი მოდიფიცირებული დასკვნა ასოციაციის 2009-2012 წლების ფინანსური აუდიტის შესახებ შემდგომი რეაგირებისა და ასოციაციის საფინანსო-სამეურნეო წარმოების სრულყოფილებისათვის გადაეცეს აღმასრულებელ საბჭოს; დაევალოს აღმასრულებელ საბჭოს დროის ოპტიმალურ პერიოდში წარმოადგინოს თავისი წინადადებები.

**მარიამ კუბლაშვილი-** სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე

**მაკა ჯაფარიძე-** სხდომის მდივანი

**აკაკი ჩარგეიშვილი-** წევრი